



დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI)

DRI საჯარო პოლიტიკის ანალიტიკური ინსტიტუტია, რომლის მიზანია: კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვა, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული სახელმწიფო მმართველობის დამკვიდრება, ტოლერანტული და თანასწორი საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა. კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვის, მხარეებს შორის ნდობის აღდგენის და ინტეგრაციის პოლიტიკის პოპულარიზაცია და სახელმწიფოს ევროპული ინტეგრაციის ხელშეწყობა.

თებერვლის თვის აქტივობები

DRI ხელისუფლებას უსაფრთხოების არსებულ გამოწვევებზე ადეკვატური რეაგირებისკენ მოუწოდებს..... 2

კონფლიქტები

სოფელი ატოცის პრობლემებთან დაკავშირებით DRI ხელისუფლებას მიმართავს.....2

DRI ხელისუფლებას ოკუპირებულ ტერიტორიებზე მაცხოვრებლებისთვის მუდმივმოქმედი ცხელი ხაზის შექმნის წინადადებით მიმართავს.....3

DRI: ფოცხოვერის დევნილთა ჩასახლებაში უმძიმესი მდგომარეობაა.....3

შემღებს თუ არა აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება ეთნოკრატიის დამღევას?.....4

უსაფრთხოება

საქართველოს მთავრობა მეორე წელია ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიის გარეშე საქმიანობს.....4

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გავლენა საჯარო დაწესებულებებზე.....5

ადამიანის უფლებები

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი დიზაინერ გიორგი მასხულიას ცემის ფაქტს ეხმიანება5

DRI: 5 ივლისის საქმეზე ბრალდებულები მედიის წარმომადგენლების მიმართ აგრესიას სასამართლო სხდომებზეც აგრძელებენ6

სასულიერო პირების საარჩევნო პროცესებში მონაწილეობის ანგარიში.....6

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი ეხმარება უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს და სოლიდარობას უცხადებს უკრაინელ ხალხს.

DRI საქართველოს ხელისუფლებას უსაფრთხოების არსებულ გამოწვევებზე ადეკვატური რეაგირებისკენ მოუწოდებს

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი ეხმარება რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის მიმართ განხორციელებული აგრესიის აქტს. შექმნილ ვითარებაში აუცილებელია საქართველომ გამოიყენოს ყველა არსებული შესაძლებლობა სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის უზრუნველსაყოფად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, DRI მოუწოდებს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს მთავრობასა და სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებს:

- სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად, დააფიქსირონ პრინციპული პოზიციები სახელმწიფოს უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის და მოსახლეობის დასაცავად
- მოხდეს საზოგადოების მაქსიმალური ინფორმირება ქვეყნის წინაშე არსებულ უსაფრთხოების გამოწვევებზე და სახელმწიფოს მიერ საფრთხის პრევენციისთვის გადადგმულ ნაბიჯებზე
- მოხდეს გადამჭრელი ზომების მიღება რადიკალური იდეოლოგიის მხარდამჭერი ორგანიზაციების ან/და ასეთ ორგანიზაციებთან ასოცირებული პირების მიმართ. სახელმწიფომ შემჭიდროებულ ვადებში გამოიძიოს აღნიშნული ჯგუფების მიერ ჩადენილი ჯგუფური ძალადობრივი დანაშაულები შესაბამისი პირების სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით
- მიიღოს ზომები რადიკალური იდეოლოგიის მხარდამჭერი ორგანიზაციების, მათი ორგანიზატორების ან/და ასეთ ორგანიზაციებთან დაკავშირებული პირების დაფინანსების წყაროების გამჭვირვალების უზრუნველსაყოფად
- მითითებულ რადიკალურ ჯგუფებსა და პოლიტიკურ პარტიებს შეუწყდეთ ნებისმიერი სახის სახელმწიფო დაფინანსების ან სხვა სახის მხარდაჭერის მიწოდება.

სოფელი ატოცის პრობლემებთან დაკავშირებით

DRI ხელისუფლებას მიმართავს

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანების პრობლემებზე, საჭიროებებსა და მათ ინტეგრაციაზე დიდი ხანია მუშაობს.

DRI-ს წარმომადგენლები 4 თებერვალს, საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ ატოცში იმყოფებოდნენ. ატოცში გადაადგილება გართულებული იყო მოყინული გზის გამო. ადგილობრივი მაცხოვრებლების განცხადებით, მოსახლეობის თხოვნის მიუხედავად, ადგილობრივმა

ხელისუფლებამ ვერ მოახერხა სოფლის შიდა დამაკავშირებელი გზების ყინულის საფარისგან გაწმენდა.

იზოლაციისა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ყოველდღიური პრობლემების გამო, საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებს განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროებათ. საკითხზე ინფორმაციის მიღების მიზნით და მოსახლეობისთვის ზემოაღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად, ორგანიზაციამ შიდა ქართლის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულს და ქარელის მუნიციპალიტეტის მერს წერილობით მიმართა.

DRI ხელისუფლებას ოკუპირებულ ტერიტორიებზე მაცხოვრებლებისთვის მუდმივმოქმედი ცხელი ხაზის შექმნის წინადადებით მიმართავს

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მაცხოვრებლებისთვის ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიასთან დაკავშირება განსაკუთრებით რთულია. პანდემიის პირობებში ეს პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდა და მოსახლეობა, ფაქტობრივად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციის გარეშე დარჩა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა (DRI) ოკუპირებულ ტერიტორიებზე მაცხოვრებელი მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი მუდმივმოქმედი ცხელი ხაზის შექმნის ინიციატივით საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტის თავმჯდომარეს მიმართა.

DRI: ფოცხოეწერის დევნილთა ჩასახლებაში უმძიმესი მდგომარეობაა

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის წარმომადგენლები აგრძელებენ დევნილთა ჩასახლებაში ვიზიტს. ამჯერად ისინი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფოცხოეწერის დევნილთა ჩასახლებაში იმყოფებოდნენ.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა სწორედ წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მდებარე ფოცხოეწერის დევნილთა ჩასახლებაში. ფოცხოეწერის დევნილთა ჩასახლება გარე სამყაროს სრულად მოწყვეტილია. დევნილებს უმძიმეს პირობებში უწევთ ცხოვრება.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფოცხოეწერის დევნილთა ჩასახლებაში მცხოვრები ადამიანების მძიმე სოციალური პირობების თაობაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრს და სხვა პასუხისმგებელ თანამდებობის პირებს უკვე მიმართა. პრობლემების აღმოფხვრის მიზნებისთვის, მიმართვები გაგზავნილია სახელმწიფო რწმუნებულთან სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრთან, წალენჯიხის საკრებულოს თავმჯდომარესთან, წალენჯიხის მერთან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრთან,

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან. გატარებული ღონისძიებების შესახებ ამ დრომდე არ მიგვიღია პასუხი არც ერთი უწყებიდან.

შემდეგს თუ არა აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება ეთნოკრატიის დამღევას?

ამ საკითხზე დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა საკუთარი თვალსაზრისი გამოაქვეყნა. ჩვენი ინფორმაციით, აფხაზეთში ქართველებისთვის აფხაზეთის დე-ფაქტო პასპორტების გაცემა ჯერ კიდევ დგას დღის წესრიგში. ქართველები აფხაზეთის მოსახლეობის დიდ ნაწილს წარმოადგენენ და მათი გარიყვა როგორც პოლიტიკური სივრციდან, ისე ეკონომიკური საქმიანობიდან აფხაზეთის განვითარებისთვის მხოლოდ დამაზიანებელი იქნება.

აღსანიშნავია, რომ გალის რეგიონის ქართული მოსახლეობის სრული უმრავლესობა საქართველოს მოქალაქეა და ქართულ პასპორტებს ფლობს. აქამდე ცნობილი ყველა შემთხვევა, როდესაც აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობებმა სცადეს გალის რეგიონის ქართველებისთვის აფხაზეთის დე-ფაქტო პასპორტები მიეცათ, შიდა აფხაზური დაპირისპირების და პოლიტიკური კრიზისის საფუძველი გახდა. როგორც დე-ფაქტო პრეზიდენტის, სერგეი ბაღაფშის, ისე მისი მემკვიდრის, ალექსანდრე ანქვაბის მიმართ წინააღმდეგობა ამ ნაციონალისტურ სენტიმენტს ეფუძნებოდა. ეს უკანასკნელი, შეიძლება ითქვას, სწორედ ქართველებისთვის პასპორტების გაცემამ ჩამოაშორა პრეზიდენტის თანამდებობას.

საქართველოს მთავრობა მეორე წელია ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიის გარეშე საქმიანობს

საქართველოს მთავრობა მეორე წელია ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიის გარეშე საქმიანობს.

DRI ეხმიანება ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით მნიშვნელოვნად გაუარესებულ მდგომარეობას, რაც დამოუკიდებელი საგამომიებო მექანიზმის გაუქმებაში, სახელმწიფო ინსტიტუტების სრულ პოლიტიზაციაში, ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიების უკიდურესად შესუსტებაში, ძალადობის წახალისებაში, შეკრების თავისუფლების უხეშად დარღვევაში, უსახლკარობის საფრთხის წინაშე მდგომი პირებისა და დევნილების პრობლემების უგულვებელყოფაში გამოიხატა.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა მოუწოდა საქართველოს მთავრობას:

უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა დაცვის ახალი ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავება, რომლითაც ავტორიტეტულ საერთაშორისო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების

ანგარიშებზე დაყრდნობით, განისაზღვრება საქართველოში ადამიანის უფლებათა განმტკიცების ფართო ხედვა, მთავარი გამოწვევები და პრიორიტეტული მიმართულებები.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გავლენა საჯარო დაწესებულებებზე

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა კვლევის „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტროლის მექანიზმები საჯარო და კერძო დაწესებულებებზე“ პრეზენტაცია გამართა.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გავლენის შესწავლა სახელმწიფო ორგანოებში, სსიპ-ებსა და კერძო დაწესებულებებში, მათ შორის, სუს-ის მიერ სხვადასხვა უწყებებში ე.წ. ოდერების დანიშვნის გზით.

კვლევის შედეგად გამოვლინდა: სუს-ის მიერ ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება, რიგ შემთხვევებში, არაუფლებამოსილ სუბიექტებთან არის გაფორმებული; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელს ხელშეკრულებით ენიჭება არასაიდუმლო სამსახურებრივი მიმოწერის მონიტორინგის უფლებამოსილება, რაც განსაკუთრებით პრობლემურია აღნიშნული სამსახურის მიერ ადამიანების უკანონო და ტოტალური მოსმენისა და თვალთვალის დამადასტურებელი მასალების მასობრივად გავრცელების პირობებში; სუს-ის სამსახური სუბიექტებთან ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმებას ოპერატიულ-ტექნიკურ საქმიანობას უკავშირებს, რაც კანონმდებლობასთან შეუსაბამოა; საკანონმდებლო ნორმის ბუნდოვანება და მისი ადრესატის მიერ ნორმის ფართო განმარტება ართულებს კანონმდებლობის გვერდის ავლით დანიშნული ე.წ. ოდერების გამოვლენას; 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად არჩეული სულ მცირე სამი მუნიციპალიტეტის მერი წარსულში უსაფრთხოების/კონტრაზვერვის სფეროში მაღალ თანამდებობას იკავებდა.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი დიზაინერ გიორგი მასხულიას ცემის ფაქტს ეხმიანება

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა დაგმო დიზაინერ გიორგი მასხულიას მიმართ ჩადენილი სასტიკი ძალადობა. ორგანიზაციის განცხადებით, კატეგორიულად მიუღებელია სოციალურ ქსელებში დაზარალებულის ბულინგი, სიძულვილის ენა და ჰომოფობიური/ტრანსფობიური შინაარსის კომენტარები.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა მოუწოდა საქართველოს პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- მიენიჭოს გიორგი მასხულიას დაზარალებულის სტატუსი;
- ბრალის წარდგენისას გაითვალისწინონ შესაძლო სიძულვილის მოტივი;

- გამოძიება წარმართონ ეფექტიანად და მიუკერძოებლად.

DRI: 5 ივლისის საქმეზე ბრალდებულები მედიის წარმომადგენლების მიმართ აგრესიას სასამართლო სხდომებზეც აგრძელებენ

5 ივლისის მასობრივი ძალადობის საქმეების სასამართლო განხილვების დროს დაზარალებული ჟურნალისტების მიმართ მტრული გარემოა შექმნილი. 22 თებერვლის სასამართლო სხდომაზე დაზარალებულ რატი წვერავას ერთ-ერთმა ბრალდებულმა მუქარის შემცველი განცხადებით მიმართა. სასამართლო მონიტორინგის ანგარიშში, რომელიც DRI-იმ 2021 წლის 5 ივლისის ძალადობრივი დარბევის საქმეებზე გამოაქვეყნა, ორგანიზაციამ დაზარალებულების, ექსპერტებისა და მოწმეების დაკითხვისას სხდომათა დარბაზში არსებულ დამამინებელ და დამაბულ გარემოს არაერთხელ გაუსვა ხაზი.

DRI-მ არაერთხელ განაცხადა, რომ 5 ივლისის მასობრივ ძალადობაზე ხელისუფლების წარმომადგენლების არასათანადო რეაგირებამ და ორგანიზატორების დაუსჯელობამ, შესაძლოა მსგავსი დანაშაულების სამომავლოდ ჩადენა წახალისოს.

სასულიერო პირების საარჩევნო პროცესებში მონაწილეობის ანგარიში

თებერვალში, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა „რელიგიური ორგანიზაციებისა და სასულიერო პირების წინასაარჩევნო პროცესში მონაწილეობის მონიტორინგის“ ანგარიშის პრეზენტაცია გამართა.

დოკუმენტში განხილულია როგორც 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიაში მღვდელმსახურების მონაწილეობისა ფაქტები, ისე - საარჩევნო სუბიექტების მხრიდან რელიგიური თემატიკით, მართლმადიდებელი ეკლესიითა და მაღალი იერარქიის სასულიერო პირების გავლენებით მანიპულირების შემთხვევები, რომლებიც სოციალური და ონლაინ მედიის ყურადღების ცენტრში მოხვდა.

ორგანიზაციის შეფასებით, გამოვლენილი პრობლემების აღმოსაფხვრელად, აუცილებელია, რელიგიურმა ორგანიზაციებმა/სასულიერო პირებმა თავი შეიკავონ წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობისაგან და პოლიტიკურმა სუბიექტებმა არ გამოიყენონ ისინი ამომრჩეველთა ნებაზე ზეგავლენის მოსახდენად.

DRI-ის კოალიციური საქმიანობა

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი აქტიურად თანამშრომლობს სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. თებერვალში DRI-ის მხარდაჭერითა და ჩართულობით, კოალიცია „ევრო-ატლანტიკური საქართველოსთვის“ ფარგლებში [განცხადება](#) გავრცელდა.

რუსეთის მიერ საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევის, უკრაინაზე თავდასხმისა და მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ სასიკვდილო იარაღის გამოყენების ფონზე, კოალიციამ გააკრიტიკა საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადება, რომ საქართველო არ აპირებს შეუერთდეს რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ ფინანსურ და ეკონომიკურ სანქციებს; ასევე, მმართველი პარტიის მიერ პარლამენტის რიგგარეშე სხდომის ჩაშლა უკრაინის საკითხზე.

ხელმძღვანელი ორგანიზაციები გაემიჯნნენ პრემიერის განცხადებას და მოუწოდეს საქართველოს ხელისუფლებას, დადგეს ანტირუსული დასავლური ალიანსის გვერდით და საქართველოს უსაფრთხოების გეგმა დასახოს ქვეყნის დასავლელ სტრატეგიულ პარტნიორებთან ერთად.

კონტაქტი

მისამართი

თბილისი, 0160 პეკინის ქ. 34 / ყაზბეგის გამზ. 2 ა, ბიზნეს-ცენტრი საბურთალო,
მესამე სართული

ტელეფონი

(+995) 32 237 52 28

Web

www.democracyresearch.org

ელ.ფოსტა

info@democracyresearch.org